საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია. წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ...
4 „ 16 ...
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. —

№ 574 კვირა, სექტემბრის 16 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 200,000

დამწუხრებული ამხანაგები: თამარ მესხი, მაცია ფოფხაძე, ეკატერინე ხვედელიძე, ნინო ქოჩიაშვილი, ქ. სანებლიძე, თამარ დოლაბერიძე, თამარ ფოფხაძე და ნარიამ გორდეზიანი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი ამხანაგის

**შუშანა (ვარდოსანიძეს) ცინცაძის**

მოსახსენებლად დანიშნულია 40 დღის პანაშვიდი ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე კვირას, 16 ენკენისთვეს საღამოს 5 საათზე.

## ДЕЙРИ

— საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ რურში დახურა ყველა კომუნისტური გაზეთები.

— პრაგაში მუშების კრებამ მოითხოვა საერთო გაფიცვა.

— საბერძნეთში მთავრობა აწარმოებს მუშების დევნას.

— ინგლის-საფრანგეთში ფიქრობენ, რომ იტალეთ-საბერძნეთის კონფლიქტი გათავებული არ არის.

— იანინში შეიპყრეს 8 კაცი, რომელთაც ბრალდებათ მკვლელობა.

— ინგლის-იტალეთის მეგობრობას საზრთხე მოელის.

— ფიუმეს საკითხი მწვავდება.

— ესპანეთში დაიწყო სამხედრო რევოლიუცია.

— ესპანეთის მთავრობა გადადგა.

— ახალი კაბინეთის შედგენა მიენდო გენერალ დე-რივერს.

— მადრიდში საალყო წესები გამოცხადდა.

— ესპანეთში არსდება დირექტორია, თავმჯდომარედ დაინიშნა გენერალი მუნენ კობე.

— ტოკიო რჩება სატახტო ქალაქად.

— ფიუმეს კონფლიქტის საშიშროება თავიდან აცილებულია.

— ჩინეთში პრეზიდენტის არჩევაზე დიდი შეხლა-შემოხლაა.

გაზეთი
„ტრიბუნა“
ენკენისთვის 15-დან ეღირება:

| | |
|---|---|
| პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად | 4.000.000 მ. |
| დაწესებულებათა და კერძო პირთათვის | 5.000.000 „ |
| ცალკე ნომერი | 200.000 „ |


## საყურადღებო წერილი

მენშევიკური პარტიის დაშლას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ მოვლენის ირგვლივ ბუნებრივად ამუშავდა საზოგადოებრივი აზრი, შეიქმნა მითქმა-მოთმა. ზოგი მათ საქციელს ხოტბას ასხამდა, ზოგი მიწასთან ასწორებდა. ზოგს ეჭვი შეჰქონდა მათ გულწრფელობაში; ზოგი კი ღრმად იყო დარწმუნებული მათ სინანულში. ჩვენ თავის დროზედ გვქონდა ამ მოვლენის შესახებ საუბარი მკითხველებთან. მას ეხლა აღარ დაუბრუნდებით. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ამავე საკითხს ეხება ერთ-ერთი ხელმძღვანელი მენშევიკური პარტიის მოქ. სეით დევდარიანი. მისი აზრი, როგორც მნიშვნელოვანი ხელმძღვანელისა და მწერალის, უეჭველად საყურადღებოა.

მოქ. ს. დევდარიანს რამდენიმე მთავარი დებულება აქვს წამოყენებული. იგი აღნიშნავს, რომ მართალია ძალდატანებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ მარტო ძალდატანებით ამ გარემოების ახსნა შეუძლებელიაო. სრული ჭეშმარიტებაა, რომ ძალდატანების მომენტით არ აიხსნება მასსიური მოვლენა. აქ საჭირო იყო გათვალისწინება მენშევიკური პარტიის წევრთა სოციალური ინტერესებისა და საბჭოთა წყობილების სოციალური პოლიტიკის. ამ გზას არ მიმართავს მოქ. ს. დევდარიანი. ეს გასაგებიცაა.

ისიც მართალია, რომ ყოფილი მენშევიკები არ შეიძლება იტევდეს მხოლოდ და მხოლოდ კრისტალივით ჩამოსხმულ რევოლიუციონერებს. ამას მით უფრო აქვს საფუძველი, რომ მენშევიკური პარტია, როგორც დემოკრატიული მიმართულება ფართოდ უღებდა კარებს ყოველგვარ ელემენტებს.

ეს დებულება რომ სწორია, ამაში ეჭვი არ შედის კომუნისტებსაც, საჭირო რომ არ აყოს კიდევ დიდი, სისტემატიური მუშაობა ყოფილ მენშევიკთა მასებში მენშევიკური გავლენის სრულიად აღმოსაფხვრელად, კომპარტია მათთვის დღესვე გაუხსნიდა კარებს. ეს სწორია, მაგრამ შემცდარია ის, რომ ძალდატანების საშუალებით მომხდარიყოს მენშევიკური პარტიის დაშლა ან მასში მხოლოდ გაცრუებულ ინტერვენციის მომხრენი იყვენ.

საყურადღებოა ფორმალური, იურიდიული მომენტიც. მოქ. სეით დევდარიანი გვეუბნება: როგორ შეიძლება პაარტიიდან გასულებმა პარტია დაშალონო. აქ უეჭველად არის ერთგვარი ლოლიკა. ფორმალურად მოქ. ს. დევდარიანი მართალია პარტია იურიდიული პირია, რომელიც წევრთა გამოკლებით და უმრავლესობის გასვლითაც არ კვდება, თუ კი ეს უმრავლესობა გასვლამდე არ ადგენს ამ იურიდიული პირის გაუქმებას. ეს ფორმალური მომენტი კარგად იციან იურისტებმა, არც იმას ვამბობთ, რომ ეს დებულება უშინაარსო და სისულელეა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩვენ მუშებთან და გლეხებთან, რომელნიც შეიძლება ვერ იცავენ ფორმალურ წვრილმანობას, მაგრამ ფაქტიურად ასწორებენ თავიანთ შეცდომას, ვერ მივალთ პროკურორთა საზომით.

ფაქტი, ცოცხალი ფაქტი კი ის არის, რომ მენშევიკური პარტიის დიდმა უმრავლესობამ, მენშევიკური პარტიის სტაჟიანმა მუშებმა და გლეხებმა გააუქმეს ეს პარტია. ეს ფაქტი უფრო მეტი მნიშვნელობისაა თავისთავად. ვიდრე ფორმალურად სრულიად „კანონიერი“ გზით პარტიის რამდენიმე წევრმა შეადგინოს ცენტრალური კომიტეტი და ილაპარაკოს პარტიის სახელით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოქ. ს.-დევდარიანის წერის კილო, აზრი და სჯილობა საკმაოდ შეცვლილია. „ღია წერილის“ ავტორი არა ჰგავს ავტორს იმ ბროშურისას, რომლის სათაურია „როგორ ცხოვრობენ საბჭოთა რუსეთში“. იგი თანახმაა იდეური დამოუკიდებელი ძიების“ და მაშასადამე არ არის მენშევიკების ოფიციალი „ცეკას“ თვალსაზრისზე. ასეთი რევიზია უეჭველად საყურადღებოა იმ წრეებისათვის, რომელნიც კიდევ შერჩენ მენშევიკურ გავლენას. *)

ვისურვებდით, რომ „დამოუკიდებელი ძიების“ სურვილი გაღრმავებულიყოს, როგორც მოქ. ს. დევდარიანში, ისე ყველა პატიოსან მოქალაქეში, რომელსაც შეეძლება სამსახური რევოლიუციის, რაც მოგვცემს საშუალებას მრავალი დაბრკოლების დაძლევისა და შეცდომათა გამოსწორებისას.

## ქრონიკა

ჩვენს ენას, რომელიც არის ერთი მთავარი გამომხატველი ჩვენიეროვნებისა, დიდი გაფრთხილება უნდა. არავის და არასდროს არ უნდა მივცეთ ნება ჩვენი სამშობლო ენის დაჩაგვრისა, ვინაიდგან ეს ნიშნავს თვით ჩვენი ერის დაჩაგვრას. ასეთი დაჩაგვრა ქართველ ერს არ დაუმსახურებია არც თავისი ისტორიული წარსულით, არც რევოლიუციის წინაშე გაწეულის ღვაწლით.

მაშ რაღაშია საქმე?

ვინ არის ის თავხედი, რომელიც ბედავს, შეუგინოს ქართველ კაცს **ქართული ენა** მისს თავისუფალ სამშობლოში? ნიკოლოზის ბატონობის დროს ჩვენ არა ერთხელ და ორჯელ გვსმენია, რომ ქართულ ენას „ძაღლის ენას“ ეძახდენ, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ასეთის თავხედობის ჩადენა შესაძლებელი ყოფილა დღესაც.

ჩვენ ამას არ დავიჯერებდით; ვიტყოდით, რომ ეს ზღაპარიაო, მაგრამ აბა გადაშინჯეთ ქართული გაზეთის „ამიერ-კავკასიის რკინისგზელი“-ს 219 ნომერი და იქ ამოიკითხავთ შემდეგს:

ა. წ. 5 სექტემბერს ბათომის რკინის გზის საბარგო სადგურში ამხ. სტალინ ჯუღაშვილის სახელობის რკინისგზელთა კლუბში გაიმართა საღამო-წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა ოპერეტა „არშინ-მალ-ალან“. საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო. საღამოს დაწყებას დამსწრე ხალხი დიდი ხალისით ელოდა, იყო რაღაც განსაკუთრებული სიხარული, მაგრამ საუბედუროთ ყველაფერი გაამწარა ერთმა შემთხვევამ. აქ შემოვიდა ერთი წითელარმიელი ვინმე გუსიევი. მან ღვინით ძალზე გალეშილმა დაუწყო ქალებს უხეში მოქცევა, რამაც საზოგადოება ძალზე ააღელვა. რამოდენიმეჯერ მისცეს წინადადება ის გაჩერებულიყო. უკანასკნელი მაინც არ დაწყნარდა და უფრო მოუმატა სიანჩხლეს. წარმოდგენის მსვლელობის დროს გუსიევი ამბობს: „Что за собачим языком они играют“-ო. ეს ვერ მოითმინა ზოგიერთებმა და გაეშურენ გუსიევის საცემათ. გუსიევი დაატყვევეს და მიგვარეს **ჯავშნიან მატარებლის სამხედრო კომისარს**, რომელმაც ის გაანთავისუფლა არ ვიცი რა მოსაზრებით. გუსიევმა აიყოლია კიდევ ერთი. ორივემ გაიყვანეს ერთი ჩვენი ამხანაგი და დაუწყეს ცემა. ეს გაიგო ხალხმა მივარდენ და ძლივს გამოსტაცეს ხელიდან ეს ნაცემი კაცი. ამას მოყვა უფრო სერიოზული ჩხუბი. გუსიევი მეორეთ დაატყვევეს და მიიყვანეს ისევ სამხედრო კომისართან. აქ ის კიდევ გაანთავისუფლეს. ეს ამბავი მოეხსენა ამხ. ვაშაკიძეს, რომელმაც იმ წამსვე მიიღო საჭირო ზომები. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს წითელარმიელი შემარცხვენელი წითელარმიის რიგებისა შესაფერისათ იქნეს დასჯილი.“

აქ მოხსენებული ჯავშნიან მატარებლის სამხედრო კომისარი უნდა სამართალში იქნეს მიცემული, ვინაიდგან მან ხელი შეუწყო მთვრალ ჯარის კაცს მის უმზგავსო საქციელში.

*) უადგილობის გამო დღევანდელ ნომერში „ღია წერილს“ ვერ ვათავსებთ, ის დაიბეჭდება საბშაბათს ნომერში.

რედ.

## რადიო-ტელეგრამები

### ზაპროსტას ცნობები 15 სექტემბრიდან

**იტალეთ-საბერძნეთის კონფლიქტი**

მიუხედავად პირველი შთაბეჭდილებისა, საფრანგეთსა და ინგლისში საზოგადოებრივი აზრი ისეთია, რომ იტალეთ-საბერძნეთის კონფლიქტი არ შეიძლება ჩაითვალოს გათავებულად, რადგანაც იტალია დაჟინებით მოითხოვს საოკუპაციო ხარჯების გადახდას და განაგრძობს კორფუს გამაგრებას. ოთხშაბათს ვერც „ერთა ლიგის“ საბჭომ და ვერც ელჩთა კონფერენციამ შეთანხმებას ვერ მიაღწია. საფრანგეთის დელეგატებმა ჟენევაში მიიღეს ახალი ინსტრუქცია. ინგლისს, მცირე-ანტანტას, ევროპის ნეიტრალურ სახელმწიფოებს, სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკებს, იაპონიას და ჩინეთს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან „ერთა ლიგის“ ავტორიტეტი.

პარიზიდან ბერლინში მიღებულ ცნობებით, ინგლისი მოითხოვს დანიშნულ იქმნეს კორფუს ევაკუაციის ვადა.

ალბანეთის პრემიერი ელჩთა კონფერენციას დახმარებას პირდება იტალეთის მისიის მკვლელების აღმოჩენაში.

საბერძნეთის მთავრობამ ბრძანება გასცა იანინში დაატუსაღონ 8 კაცი, რომელთაც ეჭვით ბრალდებათ მისიის მკვლელობა.

გაზეთების ცნობით დააპატიმრებენ აგრეთვე პოლკოვნიკ ბოცარისს.

„ჩიკაგო ტრიბუნ“-ის კორესპონ. ატყობინებს რომიდან, რომ იმ ანტაგონიზმს, რომელსაც იჩენს ინგლისის პრესა იტალეთისადმი, შეუძლიან შეარყიოს ინგლის-იტალეთის მეგობრობა. ბრიტანეთის დელეგატი კონფერენციაზედ, ლორდი კრიუ, მოითხოვს კორფუს სასწრაფო ევაკუაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი განცხადებით, ინგლისი იტოვებს თავისუფალ მოქმედების უფლებას. ინგლის-იტალეთს შორის იბადება სერიოზული დიპლომატიური უთანხმოება. მეორეს მხრით, იტალიის პოლიტიკურ წრეებში აცხადებენ, რომ მუსოლინიმ საკმარისად გადაწყვეტილად განაცხადა კორფუს ევაკუაცია საბერძნეთის მიერ ყველა პირობების შესრულების შემდეგ, და, ამიტომ, ბრიტანეთის დელეგატის ფიქრი საფუძვლიანად არ მიაჩნიათ რომში.

პარიზის ცნობებით ელჩთა კონფერენცია პარასკევს იხილავდა კორფუს ევაკუაციის საკითხს. გადაწყვეტილებას საიდუმლოდ ინახავენ. ლაპარაკობენ, რომ კონფერენციამ მიიღო მუსოლინის წინადადებები. ამ წინადადებების თანახმად იტალია კორფუს დასცლის 27 სექტემბერს, თუ ამ დროსთვის დაამთავრებს მოქმედებას საგამომძიებლო კომისია. ხოლო, თუ საბერძნეთის მთავრობის დაუდევრობით მკვლელები ვერ აღმოაჩინეს, საბერძნეთი გადაიხდის 50 მილ. ლირას ჯარიმად. საოკუპაციო ხარჯები საბერძნეთს ხვდება წილად. დადგენილება ნოტის სახით გაეგზავნება აგრეთვე „ერთა ლიგასაც“.

იტალეთის პოლიტიკური წრეები შეფიქრიანებული არიან ინგლისისა და ამერიკის მტრული პოზიციის გამო, რომელიც მათ დაიჭირეს იტალიის მიმართ კორფუს საკითხში. შეფიქრიანებული არიან აგრეთვე საფრანგეთის მეგობრობითაც, რადგანაც შემდეგში იტალეთს მოუხდება ბევრის დათმობა რურის საკითხში.

**ფიუმეს საკითხი.**

**რომი.** როგორც „ჩიკაგო ტრიბუნ“-ს აცნობებს თავის კორესპონდენტი რომიდან, ფიუმეს საკითხი კრიზისის მდგომარეობამდე გამწვავდა. სამხრეთ სლავია უარს ამბობს მუსოლინის წინადადებაზედ სანტა-მარგერიტას ხელშეკრულებაში შესწორებების შეტანის შესახებ და მოითხოვს არბიტრაჟს. მუსოლინი კი ამას უბრძოლველად არ დასთანხმდება. მუსოლინის პოლიტიკა უფრო ღრმავდება მის მომხრეთა მოქმედებით, რომელთაც საბერძნეთთან კონფლიქტში გამარჯვებამ ფრთები შეასხა. რომში არსებობს მიმართულება, რომელიც მოითხოვს, რომ იტალიამ სამხრეთ-სლავიასთან უშუალოდ გადასწყვიტოს საკითხი და გამარჯვების უზრუნველსაყოფად დაიჭიროს გარანტიად რაიმე ადგილები. ყველა მთავრობის დაწესებულებებში და დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ემჩნევა მეტი აქტივობა. ბრიტანეთიდან ელჩი გამოწვეულია რომში. სამხრეთ სლავიიდან გამოწვეულმა ელჩმა აცნობა მუსოლინს, რომ მოლაპარაკება ჯერ ისევ გრძელდება და თანაც სამხრეთ-სლავიის გადაწყვეტილება არბიტრაჟის შესახებ უცვლელი რჩება.

**რომი.** სამხრეთ-სლავიის პასუხი რომში ჯერ არ მიუღიათ. ავტორიტეტულ ცნობებით, თუ სამხრეთ-სლავია მოითხოვს ვადის გაგრძელებას მცირე ხნით, მიიღებს. 4 დღის შემდეგ სამხრეთ-სლავიისათვის მიცემულ ვადის გავლიდან, იტალეთის საზღვაო დივიზიონი შეუდგება სამზადისს ყოველ მოულოდნელ გართულების შემთხვევისათვის. ყოველ შემთხვევაში 21 სექტემბრამდე გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგმული არ იქნება, რადგანაც ამ დრომდე ვერ დაბრუნდება ფალერმოდან იტალეთის ესკადრა.

**რომი.** იტალეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში დარწმუნებულნი არიან, რომ სამხრეთ-სლავია მიიღებს იტალეთის პირობებს. ამის ნიშანს ხედავენ ბელგრადის პრესის ყოყმანს ფიუმეს საკითხში. ალბად, ბელგრადის მთავრობა სცდილობს მოამზადოს საზოგადოებრივი აზრი ოპოზიციის თავიდან ასაცილებლად.

**რომი.** ბელგრადიდან დაბრუნდა სამხრეთ-სლავიის ელჩი რომში თავის მთავრობის პასუხით იტალეთის ულტიმატუმზედ.

იტალიის პრესა აღნიშნავს, რომ 14 სექტემბერი დათმობის დღე იყო, როგორც იტალეთ-საბერძნეთის კონფლიქტში, ისე ფიუმეს საკითხში. მუსოლინმა დასთმო თავისი შეურიგებელი პოზიცია.

**ბერლინი.** „ერთა ლიგაში“ ჩეხო-სლავიის წარმომადგენლად ბენეშის არჩევისთანავე, მცირე ანტანტის ლიგის საბჭოში შეაქვს ფიუმეს საკითხი.

**ლონდონი.** ინგლისის წარმომადგენელმა „ერთა ლიგაში“, მურრეიმ თავის მოხსენებაში, რომელიც წაიკითხა ინგლისის „ერთა ლიგის“ იდეათა გამავრცელებელ საზოგადოებაში“, სთქვა, ვითომც 16 სექტემბრიდან იტალიასა, ჰუნგრეთსა, სამხრეთ-სლავიასა, ბოლგარეთსა და საბერძნეთს შორის დაიწყება სამხედრო მოქმედება ფიუმეს საკითხის გამო.

**ლონდონი.** „დელი მეილის“ კორესპონდენტი იტყობინება რომიდან, რომ ფიუმეს კონფლიქტის საშიშროება აცილებულია თავიდან. იტალეთი გამოვიდა ახალი წინადადებებით, რომელთა განხილვა დაიწყება ამ დღეებში. იტალეთი და სამხრეთ-სლავია შეთანხმდენ, უშუალო მოლაპარაკება უფრო სასურველი არის. ბელგრადის მთავრობამ უკუაგდო უცხოეთის არბიტრაჟის შესახებ აზრი.

### მიწის ძვრა იაპონიაში

იაპონიიდან რომში მიღებულ ოფიციალური ცნობებით დაიწყო მუშაობა ტოკიოსა და იოკაჰამის აღსადგენად. ბევრი ქურდი, რომელნიც ცეცხლს აჩენდნენ, დახვრიტეს.

ოფიციალური ცნობები იაპონიიდან უარყოფენ ხმებს სატახტო ქალაქის კობეში გადატანის შესახებ.

მექსიკიდან მოსულ ცნობებით, ზღვის ტალღამ, რომელიც, როგორც ფიქრობენ, მიდიოდა იაპონიიდან, კალიფორნიის სამხრეთ ნაპირზედ დაანგრია პატარა ქალაქი სან-ხოსე-დე-კაბო. 500 მცხოვრებნი გადარჩნენ მაღლობებზედ.

გამოცხადდა იმპერატორის დეკრეტი, რომლითაც იაპონიის სატახტო ქალაქად ისევ რჩება ტოკიო.

უკანასკნელი ცნობებით იაპონიაში სულ 150 ევროპიელი დაიღუპა.

### გერმანიის ამბები

**ბერლინი.** შტრეზემანმა შვედეთის დეპარტამენტის მიერ გამართულ ბანკეტზედ წარმოსთქვა სიტყვა, სადაც აღნიშნა მნიშვნელობა იმ მატერიალურ გარანტიებისა, რომელსაც გერმანია უდგენს საფრანგეთს და რომელიც ჯერ კიდევ კუნოს მთავრობამ წარუდგინა. შეეხო რა პუანკარეს უკანასკნელ სიტყვას, აღნიშნა, რომ ეს გარანტიები ალემატებიან ვერსალის ხელშეკრულების მიერ ნავარაუდევს. გირაოდ ეძლევათ არა მარტო სახელმწიფო, არამედ კერძო ქონებაც. ეს გირაო ჩაბარდება განსაკუთრებულ ნდობით აღჭურვილ პირთ, რომელთა რიცხვშიაც შევლენ მოკავშირეთა წარმომადგენელნიც. გირაო ნებას მოგვცემს ავიღოთ სესხი კონტრიბუციის გადასახდელად. კანცლერმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ მისი დიდი სურვილია, რომ ყველა პარტიები, რომელთა ხელშიაც არის დღეს გერმანიის ბედი და რომელთა გადაწყვეტილებაზედაც არის დამოკიდებული წესიერება და საფრთხის თავიდან აცილება, ხელმძღვანელობდნენ მშვიდობიანობის დაცვის სურვილით და თავისი ნაციონალური წყლულებანი დაიმშვიდონ სამართლიანობის პოლიტიკით.

**ბერლინი.** საფრანგეთის გაზეთები ფიქრობენ, რომ შტრეზემანის უკანასკნელი სიტყვით გადადგმულია ახალი ნაბიჯი წინ, მაგრამ სწუხან, რომ სიტყვაში არ არის დაწვრილებითი ცნობები პროცენტების რაოდენობის შესახებ, რომელიც უნდა მიიღოს გირაოდან საფრანგეთმა. გაზეთები ისევ იმეორებენ, რომ კონტრიბუციის გადახდა არის რურის ევაკუაციის ძირითადი პირობა.

**პარიზი.** პარიზის გაზეთები ნაძლევად სთვლიან გამოსთქვას აზრი შტრეზემანის სიტყვაში წამოყენებულ წინადადებების შესახებ, ხოლო კმაყოფილნი არიან გერმანიაში მომხდარ მორალურ ევოლუციისა, რომელიც გამოხატულია ამ სიტყვაში. „ტანი“ სწერს: „თუ მივიღებთ, რომ რურის ევაკუაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ კონტრიბუციის გადახდის შემდეგ, მაშინ გერმანიის მთავრობას რეიხსტაგში უნდა შეეტანა წინადადება მიღებულ ექმნეს საამისო ზომები. შტრეზემანი კი, ამის მაგივრად, მოკავშირეებს წინადადებას აძლევს აქციონერი გახდეს საზოგადოებისა, რომელმაც უნდა განაგოს ჯერ გირაოს შემოსავალი“.

**ბერლინი.** საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ რურში დახურა ყველა კომუნისტური გაზეთები.

**ბერლინი.** ტიურინგიის მთავრობა გადადგა, რადგანაც მემარჯვენეებმა და კომუნისტებმა 30 ხმის უმრავლესობით, სოციალ-დემოკრატების და დამოუკიდებლების 22 ხმის წინააღმდეგ, უნდობლობა გამოუცხადა. კომუნისტურმა ფრაქციამ განაცხადა, რომ იგი შევა მუშათა და გლეხთა მთავრობაში, იმ პირობით თუ მოწვეული იქნება ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობა და ამ უკანასკნელს მიეცემა საკანონმდებლო უფლება. შეიქნება პროლეტარული რაზმები, საკონტროლო კომისიებს მიეცემათ კონფისკაციის უფლება; დახურული წარმოებანი გადაეცემათ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს, სხეილი მიწად-მოქმედება დაიყოფა და გაერთიანებული იქნება წითელ ბლოკში საქსონია, ტიურინგია და ბრაუნშვეიგი. სოციალ-დემოკრატებს პირობები მიუღებლად მიაჩნიათ.

**ბერლინი.** საქსონიის კომპარტია ცეიგნერის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობისაგან მოითხოვს დემონსტრაციების აკრძალვის მოსპობას, დასჯას იმ აფიცრებისას, რომელთაც უბრძანეს ესროლით ხალხისათვის, ფაშისტებისა და პოლიციის ჩამოშორებას. თუ პირობები შესრულებული არ იქნება 15 სექტემბრისათვის, კომპარტია იმუქრება, რომ დაეხმარება მთავრობას. სოციალ-დემოკრატები გამოქვეყნებულ მოწოდებაში კომპარტიას ბრალსა სდებენ მთლიანი ფრონტის ჩაშლაში და მოუწოდებენ მუშებს მხარი დაუჭირონ მთავრობას.

**ბერლინი.** რურში გამოვიდა ახალი კომუნისტური გაზეთი „რურიშე როტეფანე“ ნაცვლად დახურული. პირველ ნომერში დაბეჭდილია კომპარტიის მოწოდება საფრანგეთ-გერმანიის კაპიტალის გაერთიანების საწინააღმდეგოდ. მოწოდება მოითხოვს პროლეტარულ რაზმების შედგენას, ფრანგმა ჯარის კაცებმა ერთი მილიონი შეაგროვეს გაზეთისათვის.

**ბერლინი.** საქსონიის კომუნისტების მოთხოვნილება დემონსტრაციების აკრძალვის მოსპობის შესახებ შესრულებულია.

ბურჟუაზიული პრესა კმაყოფილია შტრეიზემანის სიტყვით და მისი წინადადება მიაჩნიათ ერთად-ერთ შესაძლებლობად საკითხის გადასაწყვეტად.

### მუშათა მოძრაობა.

**პრაღა** (ჩეხო-სლოვაკია). ჩეხიის კომპარტიის მიერ მოწვეულ პრაგის მუშების კრების მიერ მიღებულია რეზოლუცია, რომლითაც საჭიროდ სთვლიან გამოცხადდეს საერთო გაფიცვა სამთო-მადნო მუშებთან სოლიდარობის ნიშნად. კრებას დაესწრო 5,000 კაცზედ მეტი.

**ვენა.** გაფიცვის სასტიკად ჩაქრობის შემდეგ, საბერძნეთის მთავრობამ მიმართა მთელ რიგ ძალადურ ზომების გატარებას: გაფიცულთაგან ზოგიერთი დატუსაღებულნი გადასცა სამხედრო სასამართლოს, დაშალა პროფკავშირები, დახურა მუშათა ბირჟები, აკრძალა პროფკავშირთა კრებები. მთავრობა იმუშავებს ახალ მუშათა კოდექსს, რომელიც საზღვრავს კოალიციის უფლებას. უმუშევრობა იზრდება.

მიუხედავად ამისა, მუშათა ბრძოლა ამით არ სუსტდება. პროფკავშირთა არალეგალურმა საბჭომ კომპარტიასთან შეთანხმებით გადაასწყვიტა მიმართოს მუშებს მოწოდებით, რომელშიაც გამოაშკარავებული იქნება პროფკავშირთა ბიუროკრატიის მოღალატური მოქმედება და მოუწოდებს მუშებს მზად იყვნენ შემდეგი ბრძოლისათვის.

### ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

**პრაღა.** ჩეხო-სლოვაკიისადმი მიმართულ ს. ს. რ. კ. რწმუნებულის, იურენევის ნოტის საპასუხოდ, ს. ს. რ. კ. დაარსების შესახებ, ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმ. მინისტრმა აცნობა იურენევს, რომ კავშირის დაარსებას და იურენევის დანიშვნას ილებს ცნობად.

თავის მხრით რწმუნებული კავშირის დანიშნავს იოშა გირსუს.

ჩეხიის მინისტრი გამოსთქვამს რწმენას, რომ მეგობრული დამოკიდებულება ამ ორ სახელმწიფოთა შორის გაგრძელდება შემდეგშიაც.

**ბერლინი.** „როსტას“ ბერლინის კორესპონდენტთან საუბარში მაქსიმილიან გარდინგმა გერმანიის მდგომარეობა საშიშად მიიჩნია. მაგრამ იგი ისურვებდა, რომ გერმანიის საქმე ისეთივე ყოფილიყო როგორც რუსეთისა. ბოლოს განაცხადა, რომ გერმანიის მარცხის კურსი სულ სხვა იქნებოდა, თუ კი გერმანიის მწარმოებელნი უფრო გაბედულნი იქნებოდნენ რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენის საკითხში.

**ლონდონი.** ცენტრო-კავშირის „კაისი“ კონსულტატმა დაბეჭდა წერილი, რომელშიაც ამტკიცებს, რომ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა ინგლისისათვის მეტად საჭიროა.

**მოსკოვი.** ლატვიის რწმუნებულმა ოზოლომ საკავშირო ცაკის თავმჯდომარეს გადასცა რწმუნების სიგელი.

### ესპანეთის რევოლიუცია

**ლონდონი.** ესპანეთში დაიწყო სერიოზული რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც ეხლანდელ მთავრობის წინააღმდეგია, ხოლო ლოიალურია მეფის მიმართ. მოძრაობის ცენტრი არის ბარცელონა, სადაც სამხედრო პირთ გენერლების მეთაურობით ჩაიგდეს ხელში საზოგადოებრივი შენობები, ტელეგრაფი და სხვ. და მიმართეს ახვა გარნიზონებსაც მიემხრნენ მათ.

**ლონდონი.** სამხედრო რევოლიუცია მიმართულია მარკიზ ალხუცემასის კაბინეთის ჩამოგდებისაკენ. რევოლიუციონერების ლიდერმა გენერალმა პრიმომ, წერილობით მიმართა მეფეს, სადაც აცხადებს, რომ არმია ლოიალურია მეფის მიმართ და უნდა მხოლოდ მთავრობის გადაყენება. მეფე სან-სებასტიანოდან სასწრაფოდ დაბრუნდა მადრიდში.

**პარიზი.** სამხედრო მოძრაობას მიემხრნენ ქალაქები მადრიდი, სარაგოსა და სევილია.

**ლონდონი.** „დეილი მეილის“ ცნობით, ალხუცემასის მთავრობა გადადგება. მეფე აპირებს მოიწვიოს სათათბიროდ სამხედრო ლიდერები ახალ სამხედრო კაბინეთი შესადგენად. იმავე გაზეთის ცნობით, გარეშე საქმეთა მინისტრი ალბა, რომლის წინააღმდეგაც არის უმთავრესად მიმართული ეს მოძრაობა, დაატუსაღეს სან-სებასტიანოში. სხვა ცნობებით კი ალბა გაიქცა საფრანგეთში.

---

# ძველი თამასუქები

6.

### მემარცხენე ფედერალისტები და კომუნისტები

მთელი ჩვენი ჯგუფის აზრთა წყობა, მიმართულება ლოღიკურის აუცილებლობით მოითხოვდა ჩვენგან პარტიისათვის ფორმალური წინადადებებით მიგვეცა.

მკითხველი უეჭველია გაოცდებოდა ჩვენ მიერ მოყვანილ საბუთებით. მოყვანილი საბუთები წვეთია უამრავი მასალებიდან. ყველაფერს ხომ არ ამოვიღებდით, ეს შეუძლებელიცაა ტეხნიკურად. გაოცდებოდნენ მკითხველები და ალბად თქვენც ამხ. ი. ბ., რომ როგორ ხდებოდა, რომ ასეთს წერილებს უშვებდა „სახალხო“. უნდა იცოდეს ყველამ, რომ ეს წერილები დიდ ბრძოლას იწვევდა პარტიაში, რედაქციაში, ხან და ხან შენიშვნებსაც აყოლებდნენ— რედაქცია არ იზიარებსო, ზოგი წერილიც სრულიად არ დაბეჭდეს, ხოლო არც ერთი წერილი არაა გაშვებული, რომ მემარჯვენე ფედერალისტის წითელი მელანი არ „ალამაზებდეს“. რედაქციაში მემარჯვენე იყო ბატონ-პატრონი და მკითხველი წარმოიდგენს თუ რა რიგ იქნებოდა დაწერილი წერილები დედანში, როცა დაბეჭდილი საოცარი სიაშკარავით ნათელყოფდა პარტიის უდიდეს დუღილს.

მაგრამ პარტიას არ შეეძლო ჩვენთვის სავსებით ლაგამი ამოედო, ჩვენ ვიყავით პარტიის ახალი ძალა, მთელი ცოცხალი ახალთაობა ჩვენთან იყო. აი რისთვის მოხდა, რომ ერთს გაზეთში ორი აზრი იყო გაფანტული, ერთ მიმართულებაში ორი მიმართულება სჩანდა.

ეს ორი ხაზი ცნობილი იყო ყველასათვის, დამალული არ გახლდათ არავისათვის. სახელმწიფო დამფუძნებელს კრებაში, ქალაქის თვითმართველობაში, პროფკავშირებში ჩვენ ხშირად გვქონებია პარტიულ ამხანაგებთან შეჯახება, ეს შეჯახება გაზეთებშიაც გადმოდიოდა და არა ერთხელ ალბეჭდილა მენშევიკების შეკითხვა: გვითხარით, რომელი ჯგუფი განაგებს და გამოხატავს პარტიასო.

აი ეს ორი ხაზი, ორი მიმართულება, ორი ჯგუფი ცალ-ცალკე მიდიოდნენ: მემარჯვენეები მენშევიკებთან, მემარცხენეები ბოლშევიკებთან.

არის იმის საბუთები, რომ მემარცხენეები ბოლშევიკებთან გამოდიოდენ?—გვეკითხება ამხ. ი. ბ. გიპასუხებთ: არავითარი ფორმალური მოლაპარაკება ჩვენ ბოლშევიკებთან არ გვქონია, მაგრამ სადაც ვხვდებოდით ბოლშევიკებს—ჩვენ ერთად ერთ რაზმს წარმოვადგენდით.

მე მინდა ამის საბუთები გავაცნო ამხან. ი. ბ.—ის.

მე მხოლოდ განვიხილავ აქ ჩვენს ბრძოლას პროფესიონალურ კავშირებში. 1920 წელი ჩვენთვის პრაქტიკული საქმიანობის, ბრძოლის წელიწადი იყო. მწერლობიდან პოლიტიკური კამპანია ჩვენ გადავიტანეთ რეალურს ცხოვრებაში და რაკი მუშათა კლასი მიგვაჩნდა ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ ძალად, რადგანაც ითვლებოდა მენშევიკების ციხე-სიმაგრედ—ჩვენც მუშათა რიგებში შევეჭერით და გავაჩაღეთ სასტიკი ბრძოლა.

აქ პარტიის მემარცხენე ფრთა მოქმედებდა უმთავრესად. ჩვენი ეხლანდელი ამხანაგები—გ. ტოროტაძე, მელაშვილი, ვადაჭკორია, ბაქრაძე და სხვები—აი ვინ ეწეოდნენ და ხელმძღვანელობდნენ ჩვენთან ერთად ხსენებულ ბრძოლას.

შინაურ ცხოვრების ყოველ-დღიური მოვლენებში არ დაგვეტოვებია არც ერთი საკითხი, სადაც მენშევიკური მთავრობის ყალბი პოლიტიკა სამარცხვინო ბოძზე არ გაგვეკრას. სიძვირე, სიმშილი, საოცარი სპეკულიაცია, გაფიცვები, პროფკავშირები—აი სარბიელი ჩვენი ბრძოლისა.

1920 წელში, თებერვალში ჩვენი ამხანაგები სპეკულიაციას საერთოდ ეწინააღმდეგებოდნენ და ალაპარაკებდნენ, რომ მენშევიკებმა მოახდინეს სპეკულიაციის სოციალიზაცია. „სახ. საქმის“ № 748-ში ვწერდით: „უბედურმა ხალხმა დიდი ჯოხი უნდა აიღოს ხელში და თანამედროვე სპეკულიაციის ჯოგი მირეკ-მორეკოს. სხვა გზა სპეკულიაციის ასალაგმავად არ არსებობს“.

სპეკულიაციით გამწარებულები ჩვენ მენშევიკურ მთავრობას უწოდებდით ვაჭრის და სპეკულიაციის მთავრობას, ხოლო მას მოვსთხოვდით ტფილისის ყველა სახლების, მაღაზიების, მიწების, ბანკების და ქარხნების მუნიციპალიზაციას. № 751-ში ჩვენ ვწერდით: „ბურჟუაზიის კაპიტალი პროლეტარულ მეურნეობის კაპიტალია!—აი ლეიტ-მოტივი ჩვენი შემეცნებისა“.

განსაკუთრებული ყურადღება კი მივაქციეთ მუშათა კავშირებს და მუშათა მოძრაობას. ჩვენს წინაშე იდგა გაფიცვების ტალღა. მენშევიკები ებრძოდნენ გაფიცვებს, ჩვენ და მუშა-ბოლშევიკები ვემხრობოდით გაფიცვებს. სოციალ-დემოკრატიული „ერთობა“ სწერდა: „ყოველი სტატისტიკური ცნობა საქონლის ფასისა, შესწავლა ბაზრის პირობებისა—ბევრად უფრო მძლავრი იარაღია კლასიური ბრძოლისათვის, ვიდრე მუშების გასაფიცავად გამოყვანა და დემონსტრაციების გამართვა. ქუჩებში დემონსტრაცია უნდა შეიცვალოს კაბინეთში დემონსტრაციით, გაფიცვები კი სატარიფო მოლაპარაკებით“—აი რა ხულიგნური აზრებით გამოვიდა „მუშათა“ გაზეთი „ერთობა“.

მუშებს გაფიცვებს უკრძალავდა „ერთობა“ უმთავრესად იმიტომ, რომ მართველობის აპარატი მენშევიკებს ეპყრათ ხელში. მაგრამ ამ არხი-რეაქციონურ მენშევიკურ თვალსაზრისს ჩვენმა ამხანაგებმა დაუპირისპირეს სრულიად სხვა პრინციპი: „არსებითი მნიშვნელობა იმას კი არ აქვს თუ ვის უპყრია მართველობის აპარატი, არამედ **წარმოების** ფორმას. თუ წარმოება კაპიტალისტურია, ბურჟუაზიულია, ვინც უნდა აიღოს მართველობა ხელთ, თუ ის არ შეეცდება წარმოების ფორმის შეცვლას იგი იქნება კაპიტალისტების ნება-სურვილების გამომხატველი“ (№ 756).

„ერთობა“ მიმართავს ორმაგ ბუხჰალტერიას კლასისადმი იმიტომ, რომ იგი აცხადებდა: ჩვენ პროლეტარიატიც უნდა შევქმნათ და კაპიტალიზმიც. ამ წმინდა წყლის ბურჟუაზიულ დებულებასაც ჩვენმა ამხანაგმა გ. ტოროშელიძემ ისევ ახალი წინადადება წამოუყენა: „თუმცა ჩვენში ნამდვილი პროლეტარიატი არ არის, მაგრამ არის საკმაოდ ძლიერი მუშათა კლასი, რომელსაც საკმაოდ შეგნებული აქვს თავისი კლასობრივი ინტერესები და ამ ინტერესებს კაპიტალიზმს მსხვერპლად ვერ შესწირავს“ (№770).

ასე შევამზადეთ ნიადაგი მუშათა წრეებში მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გასაჩაღებლად. მაგრამ ჩვენ განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევდით იმ მუშებს, რომელნიც დორბლ-მორეული ჩავდნენ მენშევიკების წმინდა წყლის მოღალატურ პოლიტიკას. მთელი კავშირები, რომელნიც მენშევიკებს უდგნენ გვერდში ჩვენ მოვნათლეთ „ყვითელ კავშირებად“. „სახალხო“-ს № 807-ში ჩვენ სასტიკად გავილაშქრეთ: „ყვითლების თვისება გახლავსთ —ვწერდით ჩვენ—გაბატონებულ მთავრობის პოლიტიკის დაცვით დაივიწყება თავისი საპროფესიო კლასობრივი ინტერესების; დავიწყება და მიჩქმალვა იმ ბრძოლისა, რომელიც მარქსის აზრით—მუშებმა ყოველს პოლიტიკურს პირობებში უნდა აწარმოონ თავიანთ სასარგებლოდ. ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი, სერვილიზმი!—აი ყვითელ მუშების პოლიტიკა და ტაქტიკა. მისი ცხოვრების საშუალება ოპორტუნიზმია, შტრეიკბეხერობაა, მუშათა რაზმების დაქსაქსვაა“.

1920 წლის აპრილის თვე საოცარი ბრძოლის თვეა მუშებში. მელითონეთა შორის ბოლშევიკებმა გამოდევნეს მენშევიკები, მაგრამ მენშევიკებმა მელითონეთა უმრავლესობის, ბოლშევიკური კავშირი ძალით გააუქმა და მენშევიკური კავშირი დაარსა. გაჩუმდა ამ დროს ჩვენი ჯგუფი?—არა. „ლითონის კავშირში ახალი კავშირის დაარსება აშკარა ღალატია მუშათა საქმისა“—გამოვაცხადეთ ჩვენ „სახალხოს“ № 807-ში. ეს გაიელვა ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის იდეური—პრაქტიკული კავშირი.

მაგრამ, რასაკვირველია, მენშევიკები არ კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ კეტდენ ბოლშევიკურ კავშირებს. მუშათა ყოველ კრებაზე რამიშვილის საგანგებო რაზმი დათარეშობდა და იჭერდა ბოლშევიკებს. ბოლშევიკებს არ ქონდათ თავისუფალი პრესა, მათ სდევნიდნენ უმოწყალოდ. ჩვენ არ შეგვეძლო გაჩუმება. და აი ჩვენი წერილები იბეჭდება „სახალხოში“. ჩვენ ვსწერთ: „მუშათა ფართო მასსაში, მუშების ხელმძღვანელ პროფკავშირებში ამ ბოლო დროს შესამჩნევად გაიზარდა ჩოჩქოლი, უკმაყოფილობა, ბრძოლა მთავრობის ეხლანდელ პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ გარემოებამ ბრძოლის გუნებაზე დააყენა თავისი საქმეებით ცნობილი საგანგებო რაზმი. მას შემდეგ, რაც საგანგებო რაზმის მოქმედება გაფართოვდა მენშევიკური რევოლიუციის გაფართოვება-გაღრმავების ხარჯზე — ამის შემდეგ ძალიან გახშირდა „უკმაყოფილო“ მუშების პროფესიონალურ კავშირებიდან დაკარგვა, მათი გადასახლება იმ დიდს დარბაზში, რომელსაც ტფილისის ციხეები ეწოდება. ეს გზა იყო ნოე რამიშვილის სამინისტროს გზა. ამ გზით მოისურვეს მენშევიკების აგენტებმა პროფკავშირების გათახსირება და მოძრაობაში ისეთი ელემენტების დატოვება, რომელნიც საგანგებო რაზმის ყურ-მოჭრილი მონა იქნებოდა“.

შემდეგ: „**მუშათა დაპატიმრება აღელვებს შეგნებულ მუშებს და როცა გამწარებული მუშები მუშათა კრებებზე აცხადებდენ ასეთ ამბებს, მენშევიკების ხელმძღვანელები პროფესიონალურ კავშირებში ამ საკითხს დღის წესრიგიდან ხსნიდენ, ხოლო მუშებს კომისარიატებისაკენ და საგანგებო რაზმებისკენ ისტუმრებდნენ**. ჩვენ ასეთი ნაბიჯი მიგვაჩნია სამარცხვინოდ, ვინაიდგან მუშათა უდიდეს კრების დღის წესრიგში მუშათა დაპატიმრების საკითხის გარკვევა გამოაშკარავებდა საქმის ვითარებას და იხსნიდა მუშებს რაზმის კლანჭებისაგან“ („სახალხო“ № 811).

ვინ არ იცის, რომ ეს მუშები უმთავრესად ბოლშევიკები იყვნენ. მთელ ამ საზიზღრობას ჩვენ რეპორტიორის ცნობებით კი არ ვაქვეყნებდით, არამედ პირად მონაწილეობას ვიღებდით მუშათა კრებებზე და არსებითად ჩვენ და ბოლშევიკები ერთ ფრონტს წარმოვადგენდით მენშევიკების წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ჩვენ ფაქტის მარტო აღნუსხვით არ დავიკმაყოფილდებოდით ც გვინდოდა აგველაგმა მენშევიკური თავგასულობა, რისთვისაც პასუხს მოითხოვდით. „სახალხოში“ ვწერდით: „ვინ იცის რამდენი პატიოსანი მუშის საქმისათვის მოუსპია სიცოცხლე კედიას, ვინ იცის რამდენი სამსახური გაუწევია ამ კედიას იმ მუშებისათვის, რომელთა სისხლით აგებულია ჩვენი რესპუბლიკა, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა გავიგოთ, როდის აქეთ გახდა დემოკრატიულ ხასიათის მუშაობად კედიას ეს სამარცხვინო ხელობა? ჩვენ გვინდა გავიგოთ, როდემდისინ განაგრძობს ნოე რამიშვილი ამ გზით სიარულს და როდემდის იძახებს ის, რომ ამ გზით ამტკიცებს ის რევოლიუციის მონაპოვარს, ხოლო იცავს მუშათა ინტერესებს. ჩვენ ველით პასუხს! Мы ждем—„ბორბადანაც“, ჩვენ პასუხს მოველით იმათთაგანაც, რომელნიც ზნეობრივ ატრიბუტებზე სწერენ „ერთობაში“, პროცესტებსაც გვიგზავნიან, მაგრამ ყოველ ამ საზიზღრობას რისთვისღა ვერ ამჩნევენ. დიაღ, ჩვენ პასუხს მოველით!“.

ჩვენი წერილები ყუმბარასავით გასკდა მენშევიკებში. ამოძრავდა ხელაძე-თოფაძის პროფკავშირთა საბჭო და დაიწყეს „ერთობა-ბორბაში“ ჩემს წინააღმდეგ საპროტესტო წერილების ბეჭვდა. ამაში ხომ მენშევიკები მეტად დახელოვნებულები იყვნენ!

რა თქმა უნდა ჩვენ იმისთვის არ გაგვიჩაღებია ბრძოლა, რომ მენშევიკების პროტესტის შიშით

**პარიზი.** მიღებულ ცნობებით, ალხუსემასის კაბინეთმა გადასწყვიტა დარჩეს თავის ადგილზედ.

**ლონდონი.** მადრიდიდან მიღებულ ცნობებით, მთავრობამ საალყო წესები გამოაცხადა.

**პარიზი.** კატალონიის სხვა და სხვა პროვინციებში სამხედრო პირებმა ჩაიგდეს ხელთ ძალაუფლება. მოძრაობის მეთაური დე-რიკვრა წინააღმდეგია მაროკოში სამხედრო მოქმედების შეწყვეტისა.

აჯანყებულებმა დაიკავეს კომუნისტებისა და რევოლიუციონურ ორგანიზაციების ყველა შენობები, ციხეები, ბაეკები და ტელეგრაფი. მთავრობის წევრნი მიცემული იქნებიან სამართალში.

**ლონდონი.** მადრიდიდან მიღებულ ცნობით, ალხუსემასის კაბინეტი გადადგა.

ახალი კაბინითის შედგენა მეფემ მიანდო გენერალ დე-რიიერს; რომელმაც წინადადება მიიღო მეფესთან ტელეფონით მოლაპარაკების შემდეგ.

მეფემ უარი სთქვა გადატრიალების მომხდენ პირების დასჯაზედ. მადრიდში გამოცხადდა საალყო წესები.

**პარიზი.** სამხედრო პარტიის ლიდერის პრიმო დე-რაკერის მეფესთან შეთანხმებით, ესპანეთში არსდება დირექტორია. დირექტორიის თავმჯდომარედ ინიშნება გენერალი მუნეხოფობე, რომელმაც შინაგან საქმეთა მინისტრის თ. ა. დანიშნა ყოფილი პოლიციის უფროსი დეპრეიგი.

# ახალი ამბები

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, სექტემბრის 16-ს, საღამოს 7 საათზე, ცენტრალური სამეცნიერო არქივის დარბაზში (ოლღას ქუჩა, № 48) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელზედაც პროფესორი ქ. კეკელიძე წაიკითხავს მოხსენებას: „ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი და მისი ისტორია". კრებაზედ დასწრება შეუძლია გარეშე პირთაც.

— **ქალაქის წისქვილის შესახებ.** ქალ. აღმასკომმა გამოჰყო კომისია ამხ. იტრიევის, დიასამიძის, ინჟ. ზაალიშვილის შემადგენლობით, წისქვილის შეკეთებისათვის. შეკეთება ჯდება 1,666.000 მან. შავი ოქროთი.

— **ამხ. სტალინის სახელობის კლუბის მოწყობა.** რკინის გზის სამართველომ გადასწყვიტა მიეცეს საჭირო მატერიალი ამხ. სტალინის სახელობის კლუბს.

— **ტანისამოსი რკინის გზელთათვის.** ა. ქ. რკ. გზ. სამმართველომ გადასდო 5,000 ჩერვონეცი რკინის გზელებისათვის ტანისამოსის შესაკვეთათ მოსკოვში.

— **პურის ულუფის გადიდება.** რკ. გზელთა პროფკავშირმა საჭიროდ სცნო გაუდიდოს პურის ულუფა 3 გირ. რკინის გზელებს.

— **კაკლის დამზადება.** ცენტრო კავშირს გადაწყვეტილი აქვს დაამზადოს 50,000 ფუთი კაკალი, აქედან 10 ფუთი დავალებული აქვს ცეკავშირს.

— **დახმარება უმუშევრებს.** საქ. კომუნალურ კავშირის მუშებმა დაადგინეს პერიოდულად მიეცეს დახმარება კავშირის უმუშავართა წევრებს 15 მილ. თითოს და ხუთ-ხუთი მილ. მის ოჯახის თვითეულ წევრს.

— **ბინების საკითხების მოგვარება.** მ. ქ. მეურნეობის კავშირმა მიიღო ზომები ბინების საკითხის მოსაგვარებლად. ხსენებულმა კავშირმა დაავალა თავის სატარიფო-საეკონომიო განყოფილებას სამეურნეო ორგანიზაციებთან ხელშეკრულების დადების დროს მიიღოს მხედველობაში ხსენებულ მიზნისათვის პროცენტების მიღება მუშათა სახლების ასაგებად.

— **კონსერვატორიაში გაგზავნა პროფ-კავშირის წევრთა შვილებისა.** თანახმად საქ. პროფკავშირთა საბჭოს წინადადებისა, კომუნალურ კავშირის მუშებმა გადასწყვიტეს გაგზავნონ კავშირის წევრთა შვილები ტფ. კონსერვატორიაში.

— **პროფტეხნიკური სასწავლებელი.** მკერავთა პროფკავშირმა დაადგინა გახსნას ამ თვეში პროფტეხნიკური სასწავლებელი. ორგანიზაციულ მუშაობისათვის არჩეულია ბიურო შემდეგი ამხანაგებისაგან: მიხ. ცხაკაია, ფ მახარაძე, ადამიძე, გრიგორიანი და სხ.

— **უფასო სიმინდი ჭოროხის ღარიბებს მცხოვრებს.** აჭარისტანის კომისართა საბჭომ გადასწყვიტა ჭოროხის რაიონის ღარიბეს მცხოვრებს დაურიგდეს უსასყიდლოდ ის სიმინდი, რომელიც შეკრებილია სასურსათო გადასახადის სახით.

— **საბავშო თავშესაფარზე ზრუნვა.** ტფ. დამზღვევმა კასამ მიიღო თავის თავზე ტფ. საბავშო თავშესაფარზე მზრუნველობა.

— **აეროპორტი დიდუბეში.** მუშავდება გეგმა, დიდუბეში ქ. აღმასკომის მიერ დათმობილ მინდორზე, აეროპორტის ასაგებად.

— **შეცდომის გასწორება.** ლატარის გათამაშება დანიშნულია 30 სექტემბერს და არა 20-ს, როგორც არის გამოცხადებული „ტრიბუნის" № 573.

— **ვალიუტის კურსი.**

15 სექტემბერი.

| | |
|---|---|
| ჩერვონეცი | 46,000,000 მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 44,000,000 „ |
| ჩეკ. | 43,000,000 „ |
| დოლარი ეფექ. | 9,600,000 „ |
| ჩეკ. | 8,900,000 „ |
| ოსმალური ლირა | 5,950,000 „ |
| საბჭოთა ფული | 19,500 „ |

გავქცეულიყავით ასპარეზიდან და ხმა ჩაგვეკმინდა. პირიქით „მადა ჰამაში მოდისო" და ჩვენ გავაორკეცეთ მუშაობა, მოხსენებების კითხვა, ჯგუფ-ჯგუფად კრებებზე სიარული.

ჩვენ ისევ მოვითხოვეთ: „ჩვენ მოვითხოვთ, რომ პროფკავშირების მუშაკთა დაპატიმრების საკითხი მაშინ მაინც, როცა ამას თვითონ მუშა მოითხოვს—კრებაზე დასმული იყოს სხდომის წესრიგში, რათა პროლეტარიატმა ამ მოვლენას საზღვარი დაუდვას და დაიხსნას პროფკავშირების წევრები დატუსაღებისაგან. ნუ თუ ჩვენი მოთხოვნილება ერთად-ერთი სწორი სოციალისტური მოთხოვნილება არ არის?".

კავშირების კრებებზე—მახსოვს—კბილთა ღრჭენით გავდიოდით, დაუნდობელი, სასტიკი, ცხარე იყო კამპანია: ბრძოლა გაჩაღდა და აქა-იქ ბრძოლის ინიციატივა ჩვენ ჩაგვივარდა ხელში. 25 აპრილს მუშათა სასახლეში ფარმაცევტთა კავშირის კრება იყო დანიშნული. იშვიათი ბრძოლა გაიმართა. ჩვენ და ბოლშევიკები ერთად ვიყავით, ერთს ვამბობდით, ერთად ვიბრძოდით. ამ კრებაზე, ჩვენს კრებაზე შევიპყარით პირველი აგენტი კედია-ფაჩულიასი.

ასტყდა საშინელი ალიაქოთი. „სახალხოში" ვსწერთ: „რა მოხდა ამ დღეს? ამ დღეს შეიპყრეს კრებაზე კედიას აგენტები. ამ ფაქტით დამტკიცდა ის, რასაც სხვა კრებაზე ამბობდა არა ფედერალისტი, არა—მენშევიკი მუშა ჯუღელი*) საიდუმლოტები ფედერალისტებმა გამოგზავნესო".

მეტის გაგრძელება აღარ შეგვიძლიან. მე არ ვიცი ამბობს თუ არა რაც ნათქვამ დაწერილია რასმეს. ვგონებ, რომ იგი აშკარავებს 1920 წელში ჩვენს პრაქტიკულს მუშაობას თუმცა არ ვიცი იცნობს რამდენადმე მაინც ამ მუშაობას ამხ. ი. ბ.—თუ არ იცნობს. თუ იცნობს რაღა უფლებით სწერს რომ „ბოლშევიკებთან საერთო ენის გამონახვის ცდაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყოო", და თუ არ იცის ან აქ არ ყოფილა, არაფერი წაუკითხავ-გაუგონია ან გაუგონია, მაგრამ არ დაუჯერებია, ან დავიწყებია—მაშინ რაღად არ ჩუმდება?

აი ასეთი იყო მოკლედ ჩვენი მუშაობა იდეოლოგიურ და პრაქტიკულ ასპარეზზე 1921 წლამდე.

ჩვენ ყოველ კითხვაზე გავეცით ამხ ი. ბ.-ს პასუხი.

ჩვენს მიზანს არ შეადგენდა დაწვრილებითი ისტორიის დაწერა ამ საგანზე. რამდენიმე დღეში ეს შეუძლებელია. აშკარაა მხოლოდ, რომ სოც.-ფედერალისტთა პარტიაში 1919 წლიდან განსაკუთრებით ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელმაც შემდეგ მემარცხენე ფედერალისტთა პარტია დაარსა, რომელიც ძირ-ფესვიანად განსხვავდებოდა მემარჯვენე ფრთიდან.

მემარცხენეების ნაბიჯებისათვის მემარჯვენებს პასუხი არ გაუციათ, სამაგიეროდ, არც ერთ სამარცხვინო საქმეს, რომელსაც ჩვენი სულისკვეთების და მიმართულების წინააღმდეგ მენშევიკებთან ერთად ახდენდნენ და აკეთებდნენ ჩვენი პარტიის მემარჯვენეები—ჩვენ პასუხს არ ვაგებთ.

საქართველო არაჩვეულებრივი კუთხეა მთელს რუსეთში, საოცრად მძლავრი სოციალ-დემოკრატიით. ბოლშევიკებისათვის აქ იყო საშინელი პირობები გაშლილი. ჩვენ ამ პირობებში რაღაც კვალი გავავლეთ, მცირე რამ ვიმუშავეთ, ყოველ შემთხვევაში საერთაშორისო და რუსეთის რევოლიუციის სიყვარული საქართველოში ანტიკომუნისტების პარტიაში მხოლოდ ჩვენ გამოვიჩინეთ.

ეს არის ჩვენი ღვაწლი, აქ არის ჩვენი თამასუქის განაღდება.

შეგვეძლო ჩვენ გაქცეულ მენშევიკებს ავკიდებოდით?—რასაკვირველია, არა! ეს გამოამჟღავნებდა მხოლოდ ჩვენს პირმოთნეობას, იმას, რომ რასაც ვწერდით იმის უარყოფას.

მენშევიკებს მთელი წლის განმავლობაში ვაძევებდით რესპუბლიკიდან და გაძევებულს ჩვენც გავყვებოდით?—რა თქმა უნდა ეს იქნებოდა სისულელე ჩვენის მხრივ და ბოლშევიკების შემოსვლისას ყველა ჩვენმა ამხანაგმა, რომელნიც აღნუსხულ მიმართულებით ვმუშაობდით 1919—20 წლებში ბოლშევიკურ წითელ დროშას ჩვენი წითელი დროშა შევაგებეთ.

სხვანაირად რომ მოვქცეულიყავით—იქნებოდა ღალატი ჩვენი მთავარი მიმართულების.

დავრჩით, არ გავიქეცით, საქმეს ხელი მოვკიდეთ და თუ ჩვენსავე მუშაობის შეფასებაში არ ვცდებით—უნდა ვმუშაობდეთ გულწრფელადაც, სინდისიერადაც, გულმოდგინედაც.

ეხლა ჩვენს საერთო ფრონტს მენშევიკებიც მიემატენ. მენშევიკების პარტიის დარღვევა იმდენად დიდი საქმეა, რომ მენშევიკურ პარტიის დამარღვეველს ყოველგვარი დანაშაული ეპატიება თუნდაც იგი დანაშაული გუშინდელი დღის იყოს.

ამიტომ ჩვენ გაჩუმებული ვართ. რასაკვირველია ეს ბოროტად არავინ უნდა გამოიყენოს—აქაო და ყველაფერი მეპატიებაო. ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს.

გავათავეთ. არ ვიცი დავაკმაყოფილე თუ არა ამხ. ფ. მახარაძე და ი. ბ. ჩემი დიდი სურვილი იყო მათი დაკმაყოფილება. ყოველ შემთხვევაში მასალა ჩვენს პორტფელში კიდევ მოგვეპოვება თუ მაინცა და მაინც ეს საჭირო შეიქნა.

**თედო ღლონტი.**

*) სიმონ ჯუღელი. თ. ღ.

აგენტებზე". საშინელ სურათს წარმოადგენდა კრება, პროფკავშირების საბჭოს თავმჯდომარეს—ალფეს ხელაძეს გაცოფებული დაესია მუშები და შემთხვევით გადარჩა. ბოლოს დრო იხელთა ხელაძემ და თავისი გადარჩენის მიზნით ყვირის: „ეს აგენ-

# კიდევ რკინის გზის რევიზორებზე

არა ერთხელ ყოფილა გაზეთების ფურცლებზე აღნიშნული რევიზორების ის არა კეთილ სინდისიერი მოქცევა, როგორც ისინი იჩენენ მგზავრების მიმართ, მაგრამ მაინც არ იქნა ამ უარყოფითი მოვლენების ამოფხვრა. ამა წლის 4 ენკენისთვეს შემთხვევით გავედი სადგურზედ და მოწამე გავხდი შემდეგი სურათის. რევიზორებს გეგელაშვილს და ვარდენაშვილს დაეჭირათ 13—14 წლის სოფლელი ბავში, რომელსაც სამი პატარა კალათით ყურძენი ჩამოეტანა გასასყიდათ. იმავე დღის სამ საათზედ საბარგო განყოფილებაში მომიხდა შესვლა, ბავშიც იქ დამხვდა. საცოდავისთვის ყურძნის 1 ფუთის და 5 გირის გადაეხდევინებინათ, ხოლო იქ მყოფ პიროვნებისთვის რევიზორ ვარდენაშვილმა ამოიღო კალათიდან ყურძენი და დაიწყო იქვე მდგომ მათ მეგობრებში დარიგება და მიაწოდა მწონავ „Весовщик" ამხ. ჭანიშვილს, რომელმაც უარი განაცხადა მიღებაზედ. მერმედ მიაწოდა იქვე მჯდარ მოლარე ქალს და ამ ქალბატონმაც უზიარა სხვებს. ასე რომ, ერთი კალათი გაცალიერდა, ვინამ მეორე რევიზორი ფულს მიიღებდა ბავშისაგან. დაბოლოს პატრონმა დაინახა, რომ კალათი ცალიერია. სახეზედ ეტყობოდა ძლიერი წყენა, მაგრამ შიშით ხმა ვერ გასცა.

რევიზორმა გეგელაშვილმა შენიშნა რომ ბავშს ძლიერ ეწყინა რევიზორ ვარდენაშვილის მოქცევა. მაშინ ბავშს გამოართვა ხელიდან ცალიერი კალათი გეგელაშვილმა და გაუტანა სადგურის უკან თავის ხელით და უთხრა—გაიპარეო. ბავში წავიდა ცარიელი, ფულიც გადაახდევინეს და საქონელიც შაუჭამეს.

ასეთ უსამართლობაზე მოხსენებულ რევიზორების მხრით არა ერთხელ ჰქონია შემთხვევა სად. ბათომში; ეს დიდ ჩირქსა სცხებს საბჭოთა ხელისუფლებას. იმედია მიაქცევს ყურადღებას ვისგანაც ჯერ-არს, რომ ასეთ მოქმედებას მოეღოს ბოლო, რადგანაც საბჭოთა ხელის უფლებას ამნაირნი პირნი პრესტიჟს უცემენ.

**მუშკორი გიორგი ტაბიძე.**

# პარტიაში

**დ. შორაპანი.** ოთხშაბათს, 12 სექტემბერს, შესდგა საქ. მემარც. ს. ფ. პარტიის შორაპნის სამაზრო კომიტეტის წევრთა სხდომა. თავმჯდომარეობდა ამხ. ლადო მანჯგიძე.

დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1. გაზეთ „ტრიბუნის" გავრცელება 2. სამაზრო პარტ-ბიუროსათვის ბინის საკითხი. 3. ერთდროული საწევრო გადასახადის დამტკიცება. 4 ინსტრუქტორის დანიშვნა პარტ-მუშაობის გასაძლიერებლად. 5. საღამოს გამართვა. და 6. მიმდინარე კითხვები.

სამაზრკომმა დაადგინა ეთხოვოს გაზეთ „ტრიბუნის" რედაქციას, რათა სისტემატიურად იგზავნებოდეს გაზეთი იმ რაოდენობით რამდენიც გამოწერილია. როგორც გამოირკვა პირველ სექტემბრიდან იყო გამოწერილი ცამეტი ცალი მოდის კი ხან 7 და ხან ერთი *).

ეთხოვოს შორაპნის სათემო აღმასკომს დაჩქარებით იქნეს აღმოჩენილი ბინა საქართ. მემარცხენე სოც. ფედ. პარტიის შორაპნის სამაზრო პარტ-ბიუროსათვის.

ორგანიზაციის ყველა წევრს გადახდეს ერთდროულად პირველ სექტემბრამდე საწევრო გადასახადი: შემდეგი რაოდენობით—მოსამსახურეს ხუთი მილიონი, არა მოსამსახურეს სამი მილიონი. პირველ სექტემბრიდან კი თვიური საწევრო გადასახადი—მილიონ ნახევარი მხოლოდ ღარიბესი გლეხები იხდიან სურვილისამებრ.

პარტ-მუშაობის გასაძლიერებლად ორგანიზაციებში, დაინიშნოს ამხ. მეტრეველი ინსტრუქტორად, რომელსაც ეძლევა წინადადება შეუდგეს მუშაობას არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

7. დაევალოს ამხ. შ. გაჩეჩილაძეს მოკლე ხანში გამართოს საღამო სამაზრო კომიტეტის სასარგებლოდ, რისთვისაც ეძლევა წინადადება ადგილობრივ პარტიის ყველა წევრებს ხელი შეუწყონ საღამოს გამართვას.

**მ.**

*) გაზეთის კანტორა კი აბარებს ექსპედიციას 15 ცალ გაზეთს შორაპანში გადასაგზავნად. ვინაა დამნაშავე, ვეკითხებით ექსპედიციას.

**რედაქცია.**

# წერილები საქართველოს ებრაელებზე.

(დასასრული)

5

**„თარბუთ"**

დღეს საქართველოს ებრაელობა იმყოფება მეტად უნუგეშო მდგომარეობაში. ძველი ფორმების და რელიგიურ ტრადიციათა მატარებელი სასწავლებლები მათ დაეკეტათ.

როდესაც ძველი დაეკეტათ უნდა მისცემოდათ რამე ახალი, მაგრამ ჯერ ჯერობით ძველი აკრძალულია და ახალი არა სჩანს...

აუარებელი ებრაელი ნიჭიერი ბავშვები დახეტიალობენ საქართველოს ყველა ქალაქებში და დაბებში სრულიად უსაქმურად და უმიზნოდ.

თუ ასე გაგრძელდა, მათ მოელით ზნეობრივი გახრწნა და გარყვნა. ბათუმში, ქუთაისში და ტფილისში თქვენ თუ ყურებს გიჭექავენ „მეჩისტეები" და სპიჩკა-პაპიროსის გამყიდველები—არ დაგავიწყდეთ, რომ მათი უმეტესობა არიან საქართველოს ებრაელები, რომლებიც ცხოვრების ულმობელ კანონებს გაურიყავთ შეუბრალებლად. მათ არ აქვთ სახელოსნო სკოლები, რომ იქ ისწავლონ ხელობა. მათ არ აქვთ ჰუმანიური სკოლები, რომ იქ მიიღონ სწავლა განათლება და გაჰყვენ ცხოვრებას ახალი გზებით, ახალი სურვილებით და ახალი იდეალებით. რა დარჩენიათ მათ ამ უსაქმო ხეტიალის დროს, თუ არა „მეჩისტეობა" და მსგავსი პროფესიები?

ასე და ამგვარად არავისთვის არ უნდა შეადგენდეს საიდუმლოს, რომ **საქართველოს ებრაელთა მდგომარეობა ძლიერ დამაფიქრებელია.**

გსურთ დამეთანხმოთ ამაში? მაშ შეისწავლეთ მათი ცხოვრება. არ შეისწავლით და თქვენ მუდამ შეცდომაში იქნებით.

რა იხსნიდა მათ დაღუპვისაგან? რა იქნებოდა მათი მაშველი ასეთ საბედისწერო მომენტებში? მხოლოდ და მხოლოდ დიდი კულტურული წრე, რომლის გარშემო შეეძლოთ თავი მოეყარათ მთელ საქ. ებრაელობას.

**და ასეთი წრე გაჩნდა.**

ქ. ტფილისში თავს იყრიან საქ. ებრ. ინტელიგენციის გაფანტული ძალები და მათ მოსდით შესანიშნავი იდეა „თარბუთის" დაარსებისა.

ამ საქმის ინიციატორები და ხელმძღვანელები არიან საქართ. ებრ. შორის გამოჩენილი მოღვაწეები და ხალხის ინტერესების გულ შემატკივარნი. მათ გამოიჩინეს დიდი ენერგია, არ მიეცენ სასოწარკვეთილებას და დიდი ხნის ლოდინის შემდეგ სახალხო განათლების კომისარიატმა დაამტკიცა **„თარბუთის" წესდება.**

„ტრიბუნის" მკითხველები გაკვრით მაინც იცნობენ „თარბუთს" ამ გაზეთის № 551-ის ფურცლებზე სამი ახალგაზრდა ებრაელი მიმართავდა „თარბუთის" გამგეობას და მოუწოდებდა მათ მოქმედებისკენ. № 554-ში კი, ჩვენ ვკითხულობთ გაკვრით ცნობას: გამგეობის წევრს უცნობებია რედაქციისთვის, რომ ჯერ „თარბუთის" დამტკიცება რეგისტრაცია არ არის დამთავრებული. ამაზე მწუხარებით დასძენდა გაზეთი: **„მათი დამხმარე კულტურული საზოგადოების დაარსება დამტკიცება რ დ გასჭირდა ასე მაშინ, როცა „დაისები" და „არტოები" კაზინოებით და რულიეტკით à la Monte-Carlo ასე სწრაფად და ადვილად არსდებიანო".**

აი მთელი ცნობები, რაც მოეპოვებათ „ტრიბუნის" მკითხველებს „თარბუთის" შესახებ, მაგრამ მე მსურს ახლა მკითხველ საზოგადოებას მოკლედ გავაცნო, რას წარმოადგენს „თარბუთი" რა მიზნები აქვს დასახული და რა პერსპექტივები უდევს მას მომავალში.

**„თარბუთ" ებრაული სიტყვაა და ნიშნავს „კულტურას".**

**საზოგადოება „თარბუთი" მიზნად ისახავს გაავრცელოს საქართველოს ებრაელთა შორის საზოგადოდ სწავლა განათლება და კერძოდ ებრაული ენის, ისტორიის და კულტურისცოდნა.**

მისი მოღვაწეობა გამოიხატება შემდეგში: საზოგადოება აარსებს: ა) საღამოს კურსებს, ბ) პედაგოგიურ და სხვა სამეცნიერო კურსებს, გ) სამკითხველოებს, ბიბლიოთეკებს, კლუბებს, სადაც მოეწყობა სისტემატიურად ლექციები, როგორც საზოგადო სამეცნიერო საგნებზე, ისე ებრაული ენის, ისტორიის და კულტურის შესახებ. დ) აარსებს აგრეთვე პერიოდულ და არა პერიოდულ გამოცემებს.

„თარბუთის" ცენტრი იქნება ქ. ტფილისში და მისი განყოფილებები კი მოეწყობა საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში სადაც ცხოვრობენ ებრაელები.

„თარბუთს" აქვს განზრახული მრავალი სხვა და სხვა მიზანი მომავლისათვის, მაგრამ ის მაშინ შესძლებს განახორციელოს თავის გეგმები, როცა ის თავის ბანაკში მოუყრის თავს გაბნეულ დაქსაქ-

სულ ძალებს და მოახერხებს მათ მჭიდრო ორგანიზაციულად დარაზმვას.

მე სრულიად არ მაშინებს ის გარემოება, რომ „თარბუთის“ რეგისტრაცია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ჯერ არ არის დამთავრებული.

მე იმედი მაქვს, რომ ის პირები, ვისგანაც არის დამოკიდებული ჩვენი საზოგადოების რეგისტრაცია, გაითვალისწინებენ ჩვენი მოძმეების მდგომარეობას და აღარ დააყოვნებენ საქმეს.

საჭიროა ისინიც გაიმსჭვალონ იმ მოსაზრებით, რომ „თარბუთი“ ისე აუცილებელია საქართველოს ებრაელთათვის, როგორც წყალი თევზისათვის და მაშასადამე დაგვიანება იქნებოდა დიდი დანაშაული.

აგერ უკვე მესამე წელიწადია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და ჩვენ დავიწყებული ვართ.

აჭარლებს მიეცათ ავტონომია, რომლებიც მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებიან ქართველებიდან; ოსებს მიეცათ ავტონომია, რომლებიც მხოლოდ ეხლა ქმნიან თავიანთთვის ალფავიტს და ებრაელებს, რომლებსაც გაცილებით მეტი პრეტენზიები აქვთ მათზე—ჯერ არასფერი მისცემიათ.

მე არასოდეს არ დაუშვებ იმ აზრს, რომ საბჭოთა მთავრობას არ აინტერესებდეს ჩვენი საკითხი. დ. ბააზოვისადმი საპასუხო წერილში მ. ო. გაზ. „კომუნისტის“ № 176-ში ამბობს: **„რაც საჭიროა საქართველოს ებრაელთა კულტურული ამაღლებისთვის საბჭოთა მთავრობა არ დაიშურებს“.**

ჩემამდე ამ სტრიქონებს უკვე ხაზი გაუსვეს სამმა ახალგაზდა პროვინციელ ებრაელებმა თავიანთ წერილში (იხ. „ტრიბუნა“ № 551), მხოლოდ მე დამრჩენია დაუმატო ის, რომ **ეს საჭიროა მოხდეს სასწრაფოდ, ვინაიდან „თარბუთი“ უნდა გადაიქცეს—მამოძრავებელი ღერძი მთელი საქ. ებრაელობისა, „თარბუთი“ უნდა გადაიქცეს იმ ცხოველ მყოფელ ნაკადად, საიდანაც საქართველოში მცხოვრებ ყოველ ებრაელს საშუალება ექნება ამოსწოვოს წყარო სინათლის, „თარბუთი“ უნდა გადაიქცეს იმ ახალ მოვლენად, რომელიც მილეწ-მოლეწავს ყოველსავე ძველს და გამოგვიყვანს ახალი გზების ძიებაში, „თარბუთი“ ჩვენს ხანაში უნდა დასახიათდეს, როგორც ძლიერი რევოლიუცია და მემატიანეს საშუალება უნდა ექნეს, რომ ებრაული ენის და კულტურის აღორძინება-აყვავება, საზოგადო სწავლა განათლება და საერთოდ მთელი ეს რენესანსი და მისი დასაწყისი საქართველოს ებრაელთა ცხოვრების ისტორიაში—აღნიშნოს „თარბუთის“ ეპოქით.**

გერცელ ბააზოვი.

# მოწაფეთა ხმა

უკვე მაისის მიწურულებში შეიქმნა მითქმა-მოთქმა მესამე ტეხნიკუმის გაუქმების შესახებ. ამ ხმებმა ფრიად შეგვაწუხა ჩვენც და მასწავლებელნიც, მაგრამ უსაზღვრო იყო ჩვენი სიხარული, როდესაც შევიტყეთ ცეკას დადგენილება, რომლის ძალითაც იგი კვლავ ხელუხლებელი უნდა დარჩენილიყო. ამის შემდეგ სრული იმედი გქვონდა, რომ მისი ბედი მომავალში უზრუნველყოფილი იქმნებოდა. მაგრამ ნაადრევი და უსაფუძლო გამოდგა ჩვენი იმედი,—დაგვავიწყდა, რომ ჩვენი სასწავლებელი უბედურ ვარსკვლავზე იყო დაბედებული.

და აი სწორედ არდადეგების დამლევს, როცა ყველა ჩვენგანი სიხარულით ესწრაფოდა მისკენ, როგორც მშობელ დედისადმი, განათლების კომისარიატის განკარგულებით ჩვენი სასწავლებელი დახურულია და ჩვენ კი—300 ახალგაზრდა განაწილებულია პირველსა და მეორე ტეხნიკუმს შორის...

შავბნელით მოსილ რეაქციის ჟამს ჩაეყარა ქართულს გიმნაზიას საძირკველი. იმ დროს როდესაც ქართული სკოლის ხსენებაც არ იყო და თვითმპყრობელთა გაშმაგებული ნაძალადევი რუსიფიკაციის სისტემა ქართულს კულტურას წარღვნას ემუქრებოდა. მთავრობას მისთვის არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია, ეს სასწავლებელი საზოგადოების ხარჯით ინახავდა თავს, მაგრამ იგი მუდამ თვალში ჰყავდათ ამოღებული, როგორც რევოლიუციის ბუდე. სდევნიდნენ, ავიწროებდნენ მას. აქ კურს დამთავრებულთ დიდ ხანს უმაღლეს სასწავლებელის კარს უხშობდნენ, ბოროტი დედინაცვლის მზრუნველობით თვალს ადევნებდნენ ყოველ მის ნაბიჯს.

ამ სასწავლებელმა თავიდანვე ფართოდ გაუხსნა კარი პროვინციის ღარიბ ღატაკ ახალგაზდობას, რომლის უმრავლესობისთვის მაშინდელი გიმნაზია უსალსრობის გამო აკრძალული ხილი იყო შავი სოფლური ნაბდის ქუდი და გაცვეთილი ჩუსტები—ასეთი იყო და არის ჩვენი ძვირფასი სასწავლებლის სიმბოლო.

ორმოცი წელიწადი მედგრად და თავ გამოდებით იბრძოდა იგი არსებობისთვის და იცავდა თავის პოზიციებს, არც ერთი მათგანი თვითმპყრობელ მტრისათვის არ დაუთმია, მას გარს ერტყა ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, მის კედლებ შიარის აღიზარდა მრავალი მოღვაწე; აქ დაიწერა პირველად მრავალი სახელმძღვანელო ქართულს ენაზე.

აქ რევოლიუციის საქმეს შეეწირა ჩვენი ხსოვნისთვის სამარადისოდ დაუვიწყარი გამგე შიო ჩიტაძე, მისი უმანკო სისხლით შეღება მტარვალთა ხელმა.

რევოლიუციის შემდეგ ქართული გიმნაზია შეიქმნა გაეროვნებული სკოლის ნიმუშად და გზის მაჩვენებლად; ქართულმა სკოლამ აქ აიდგა ფეხი და გამაგრდა წელში.

ამ სასწავლებლის პატიოსანი დროშა წინ უძღოდა საქართველოს რენესანსის მოწინავე რაზმებს უკუღმართ დროთა ქარტეხილებში, უმწიკვლოდ და გამარჯვებით მოიტანა. მან ეს დროშა ჩვენი ახალი ცხოვრების საზღვარზედ და უანდერძა სახელმწიფო უნივერსიტეტს, მშრომელი ხალხის ნაწვავ-ნადაგი კაპეიკებით აგებული თავის დიდებული შენობა. და... განა იმ იმედით, რომ მრავალ ჭირნახულს მოხეტიალე, უსახლკარო აჰასფერის ბედი სწეოდა? განა იმიტომ რომ დღეს მას ეუბნებოდნენ—უბინაო ლტოლვილი ხარ, დღემდე მანთაშევის ყოფილ სასწავლებელში დროებით დაგაბინავეთ, ეს შენობა სხვა საქმისათვის გვჭირდება და ამიტომ უნდა გაგაუქმოდო.

ოთხი წლის განმავლობაში მან სამი შენობა გამოიცვალა. ვაკედგან კადეტთა ყოფილ კორპუსში, აქედგან დედათა ინსტიტუტში, დედათა ინსტიტუტიდგან მანთაშევის ყოფილ კომერციულ სასწავლებელში და აქ კი სამუდამო სამარე. ასეთი არის ჩვენი ძვირფასი ჯვარცმული სასწავლებლის უკანასკნელ დროს გოლგოთის გზა.

გვითხარით, რისთვის დაგვიხურეს სასწავლებელი ვეკითხებით ჩვენს მასწავლებელთ.—ტეხნიკუმების გადაჯგუფების გამო, „გვიპასუხებს ზოგიერთი, „ახალი პროგრამით ყველა ჰუმანიტარული ტეხნიკუმები იხურება, ჩვენ მათ რიცხვში ვართ“—გველაპარაკებიან მეორენი. მაგრამ თუ კი სხვა სასწავლებელთ მიენიჭა „სპეციალური ტეხნიკუმის“ სახელწოდება, განა ჩვენმა ტეხნიკუმმა რა დააშავა; წარსულს წელს მასსაც ხომ სახელად აგრონომიული ტეხნიკუმი ეწოდებოდა?!. რათ წაართვეს მას ეს სახელი?!. და თუ მართლა ჩვენი უბედობა იმით აიხსნება, რომ „სპეციალურის“ სახელი დროზედ ვერ მოვიპოვეთ, მაშ რატომ პირველსა და მეორე ტეხნიკუმს არ ხურავენ, ესენიც ხომ კვლავ ჰუმანიტარულ ტეხნიკუმთა სიაში ირიცხებიან, მით უმეტეს, რომ პირველში მხოლოდ 120 ყმაწვილი სწავლობს, მეორეში კი სულ ერთი კლასია და 60 მოწაფე, ჩვენს ტეხნიკუმში კი 300 მოწაფეა. ალბად ესეც ჩვენი უბედობის ბრალია, რომ საერთოდ მიღებული წესი შეიცვალა და დიდი პატარას შეუერთეს და არა წინაალმდეგ. სად არის ამ უცნაურობის მიზეზი, ვერ გაგვიგია?! რა ცოდვა მიუძღვის ამ ღვაწლით შემოსილ სასწავლებელს, რათ ეწია მას მოხეტიალის მწარე ბოლო?!.

გვანუგეშებენ უადგილოდ არ დაგტოვებთო, მაგრამ რა ანუგეშებს კერა დანგრეულს ადამიანს ხშირად ხომ ძველი ქოხის ერთი ქვა უფრო ძვირფასია, ვიდრე ვარაყით შემკული ახლად აგებული სასახლე ვგრძნობთ, რომ ამიერიდგან ვკარგავთ ჩვენს საყვარელ დედას, რომელსაც თითქმის ნახევარ საუკუნეა ამაყად ხელთ ეპყრა ქართული კულტურის ჩირაღდანი, ვშორდებით ჩვენს მეგობარ ქართული სკოლის სიამაყე მასწავლებელთ, ძველი ოჯახი გვენგრევა, ვიქსაქსებით და ამიტომ ვგოდავთ ჩვენ და დარწმუნებული ვართ ჩვენთან ერთად შეგნებული საზოგადოებაც.

როცა ჩვენ პროფესიონალური განათლების მთავარ გამგეს მივმართეთ და გვსურდა მისთვის გაგვეზიარებინა ჩვენი დარდი და ვარამი, არ მოგვისმინა. „პირადად თხოვნებს არ ვიღებ, განცხადება რეგისტრაციაში გაატარეთ, მერე გავარჩევ“—ასეთი იყო მისი პასუხი.

შეიძლება ჩვენი წუხილი ფრიად უმნიშვნელო იყოს დიდ საქმიანობის დროს, შეიძლება საერთოაურზაურში არავის ვახსოვდეთ, მაგრამ როდესაც ჩვენი ტანჯული დედის მკერდს გვაშორებენ გვსურს ყველამ გაიგოს ჩვენი უბედურების ამბავი...

ნუ დაგვიხურავთ ჩვენზე და მრავალ თაობაზე ნაამაგარს სასწავლებელს, დაგვტოვეთ, როგორც ვიყავით და ჩვენც სამარადისო მადლობას, მოგიძღვნით, ჩვენ ენერგიას თქვენთვის არ დავშურავთ.

ბ. გიგიშვილი.
ირ. ჩარკვიანი.

# დიდი უსამართლობა

**ვაჟთა მესამე ტეხნიკუმის შესახებ.**

(ყოფილი ქართული გიმნაზია)

სწორედ უბედურ დღეზედ ყოფილა ეს სასწავლებელი დაარსებული. მეფის რეჟიმის დროს ათვალისწინებული და დევნილი, ეხლა, წარმოადგინეთ, საბჭოთა ხელის უფლების დროს სულაც დაკეტეს.

ამ სასწავლებლის თავგადასავალი და მდგომარეობა მოკლედ ასეთია. მენშევიკების დროს ამ სასწავლებელმა მთავრობას გადასცა ვაკეზედ სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ვეებერთელა შენობა ექვსი დესიატინა მიწითა, განოვისა და ველიამინოვის ქუჩებსაც გამოსული დიდი სახლი, მამულები გორისა და შორაპნის მაზრებში და მასწავლებელთა კორპორაციის საპენსიო თანხა 133.000 მან. ოქროთი. სამაგიეროდ მთავრობამ გიმნაზიას მისცა ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობა. ერთი წელიწადი არც კი ჰქონდა მოთეული სასწავლებელს ამ შენობაში, რომ მთავრობამ სასწავლებელს ბინა აუშალა და ახალ შენობაში, ყოფილ ქალთა ინსტიტუტში გადაიყვანა. ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქალთა ინსტიტუტის შენობაში სამხედრო სკოლა დაბინავდა; სასწავლებელი კი ეხლანდელ ბინაზედ, ყოფილ სავაჭრო სკოლის შენობაში (ბებუთ. ქ. № 50) მოათავსეს.

ამ უკანასკნელ ბინაზედ თუ მაინც მოასვენეს და მოაწყეს ეს მოხეტიალე სასწავლებელი? იკითხავს მკითხველი. სამწუხაროდ არა. თავისავე შენობაში (განათ. კომისარის მანდატით გამგის სახელზედ შენობა მესამე ტეხნიკუმს ეკუთვნის) ამ ორი წლის განმავლობაში ეს ტეხნიკუმი სალამოობით, უხეიროდ განათებულ ოთახებში მაცადინეობდა, როდესაც ადამიანის სხეული დაღლილია და მოდუნებული.

დილაობით კი ამ შენობაში სწავლობს 43-ე რუსული შრომის სკოლა, რომელიც მენშევიკების მთავრობის დროს გენ. დენიკინისაგან იღებდა დახმარებას.

ამ სკოლის გარდა ტეხნიკუმისათვის ვითომდა მიკუთვნებულ შენობაში, წარმოიდგინეთ, კლასებშიაც კი სცხოვრობს კიდევ რამდენიმე ისეთი ოჯახი, რომელთაც სასწავლებელთან და საზოგადოთ სწავლის საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

სასწავლებლის ასეთი მდგომარეობა მრავალჯერ ემცნო, თუ წერილობით, თუ სიტყვიერად სახ. განათ. კომისარიატს.

ბოლოს ამ 2 თვის წინად (მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს მოქ. ალ. გეგეჭკორსაც გაუგია სასწავლებლის მდგომარეობა და შესაფერისი ზომებიც მიუღია. ალ. გეგეჭკორის წინადადებით) ცეკას დაუდგენია მესამე ტეხნიკუმის შენობიდან შრომის სკოლა და გარეშე პირები გამოსახლებულები იქმნენ და შენობა სავსებით ტეხნიკუმს მიეკუთვნოს. ცეკას დადგენილება მაშინვე გადაეგზავნა შესასრულებლად განათ. კომისარიატსა და ქალაქის აღმასკომს, რომელიც შეუდგა ბინის დაცვას მაგრამ... მაგარი ის არის რომ 21 აგვისტოს ტეხნიკუმის გამგესთან გან. კომისარიატიდან მოსულია მოწერილობა სადაც იტყობინებიან, რომ თქვენდამი რწმუნებული ტეხნიკუმი დახურულია და ერთი ნაწილი მოწაფეების უნდა გადავიდეს ტეხნიკუმ № 1-ში, ერთიც № 2-ში.

გამგეს უკითხავს, თურმე, მიზეზი ტეხნიკუმის დაკეტვისა და პასუხად მიუღია—შენობის უქონლობა.—

როგორ? ზემოდ ჩამოთვლილ შენობებისა და ქონების პატრონს—მესამე ტეხნიკუმს თუ შენობა არ ეკუთვნის, მაშ რომელ სასწავლებელს უნდა ეკუთვნოდეს?

მერე ვინ დაარღვია ცეკას დადგენილება?

განათ. კომისარიატში შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელშიაც დაინტერესებული ტეხნიკუმის გამგეც ყოფილა წევრად და მომხსენებლად 2—3 ტეხნიკუმის წარმომადგენელი თუ დაისწრეს ერთ-ერთ კრებაზედ მაინც საქმის ვითარების გასაცნობად? არა. ეს კი უსამართლობაა.

სასწავლებელს ჰხურავენ და სასწავლებლის წარმომადგენელს ცნობების მიწოდების საშუალებასაც არ აძლევენ...

ტეხნიკუმის დაშლის მიზეზი იქნება ისიც იყო, რომ იგი ჰუმანიტალურია და არა სპეციალური; თუმცა შარშან ეს ტეხნიკუმი სპეციალური (სამეურნეო) იყო და წრეულსაც შეეძლოთ, რასაკვირველია, სპეციალურად გაეხადათ. ესეც არ იყოს, ახალი სასწავლო გეგმით ჰუმანიტარული ტეხნიკუმისათვის წრეულობით მხოლოდ 1-ლი კლასი უნდა ჩამოეშორებინათ. დაკეტვა კი რაღა საჭირო იყო?

1 და 2 ტეხნიკუმიც, რომ ჰუმანიტარული იყო; რატომ ისინი კი არ დაკეტეს? მერე დიდი სასწავლებელი უნდა დაეკეტათ, თუ პატარანი? დიდი სასწავლებელი უნდა შეერთებიათ პატარისათვის, თუ პატარა დიდისათვის?

მესამე ტეხნიკუმში 300-მდე მოწაფეა, 1-ში 120, და 2-ში მხოლოდ 60.

ცხადია რომელი რომლისათვის უნდა შეერთებიათ, თუ კი, რასაკვირველია, სამართლიანობას დაიცავდენ.

ნათესაობას და ნაცნობობას ჩვენს საქმიანობაში სამწუხაროდ კიდევ დიდი გავლენა აქვს.*)

სწორედ ასეთი საქმიანობის შედეგია ამ საუკეთესო სასწავლებლის დაკეტვა. ეს იყო ჩვენი უძველესი ეროვნულ ნიადაგზედ აღმოცენებული და განვითარებული სასწავლებელი, რომლის დაარსებიდან 44 წელმა განვლო.

ამ სასწავლებელმა მოუმზადა ჩვენს რესპუბლიკას მრავალი თვალსაჩინო მოღვაწე. ეხლანდელ ხელისუფლების ბევრ მესვეურსა და მოღვაწეს უსწავლია ამ სასწავლებელში და ამ ჟამათაც თავიანთ შვილებს აქ ასწავლიან. ამ ხანად ტეხნიკუმში სამასამდე მოსწავლეა, თითქმის იმოდენივე, რაც ტფილისის ყველა ქართულ ტეხნიკუმებში. დიდი უმეტესობა 80-პროც. მოსწავლე სულ მუშებისა და უღარიბეს გლეხების შვილებია.

პირველად ამ სასწავლებელში დამუშავდა სხვა და სხვა საგნის პროგრამები, ტერმინები და სახელმძღვანელოები [illegible] ბული სკოლებისათვის.

აქვე ესწრებოდნენ ახალგაზრდა მასწავლებლები სამაგალითო გაკვეთილებს და ემზადებოდნენ სამასწავლებლო ასპარეზისათვის.

სასწავლებლის ასეთ ღვაწლისა და დამსახურებას სხვა ქვეყანაში რითიმე აღნიშნავდნენ, სასწავლებელს განსაკუთრებულ კარგ პირობებში ჩააყენებდნენ. ჩვენში კი ასეთი სასწავლებელი ზედმეტ ბარგად მიიჩნიეს და დაკეტეს.

ეს არის დიდი უსამართლობა, დიდი შეცდომა; რასაკვირველია ამ შეცდომის გამოსწორება შეიძლება კიდევ და ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ ხელისუფლება ჯეროვანად გადასწყვეტს ამ სასწავლებლის ბედს.

მშობელი.

*) სარწმუნო ცნობები გვაქვს, რომ საკითხი ხელ ახლა იქნება განხილული სახ. გან. კომისარიატისაგან.

რედ.

# სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლის მუშაობის შესახებ

სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლი შეიცავს შემდეგ დაწესებულებათ: სკოლის გარეშე განათლების მუზეუმს, სასკოლო, საბიბლიოთეკო საკლუბო კაბინეტებს. გარდა ამისა სახლის შემადგენელი ნაწილია პუშკინის ბიბლიოთეკა.

1. **სკოლის გარეშე განათლების მუზეუმი** შესდგება ექსპონატებისაგან, რომელიც ახასიათებს პოლიტ-განათლების განყოფილებათა მუშაობას. ამ ექსპონატებს წარმოადგნენ: პლაკატები, დიაგრამები, კარტოგრამები, ნახატები, მხატრული ესკიზები, ყოველგვარი თვალსაჩინო და სასწავლო ნივთები და სხვა. ამ ჟამად მუზეუმი არ არის მოწყობილი. საჭიროა პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობის ქვე-განყოფილების ჩარევა მუშაობაში მუზეუმის სათანადო მოსაწყობად. ზომებია მიღებული და ახლო მომავალში ყველა ქვე-განყოფილებათა გამგეები შეუდგებიან მუშაობას ამ მხრივ. მსგავსი მუზეუმი აუცილებლად უნდა მოეწყოს მაზრებში პოლიტ-განათლების განყოფილებებთან. ამ მიზნით უკვე დაეგზავნა ცირკულიარი და ინსტრუქცია, რომლითაც პროვინციამ უნდა იხელმძღვანელოს მასალების შეგროვების ჟამს.

2. **სექციების და მარქსისტული წრის მუშაობა.** საკლუბო, საბიბლიეთეკო და სასკოლო სექციების და მარქსისტული წრის მუშაობა, რომელიც შეჩერებული იყო დროებით, განაახლებენ მოქმედებას მიმდინარე წლის სექტემბრის 15 დან. სექციების მიზანია თავი მოუყაროს და ერთმანეთს დაახლოვოს პოლიტ-განათლების ასპარეზზე მომუშავენი. აქვე განზრახულია საკლუბო და საბიბლიოთეკო კურსების და სხვა; აგრეთვე საინსტრუქტორო კურსებისა, რომლის მიზანია სკოლის გარეშე მუშაკთა მომზადება და მათი კვალიფიკაციის აწევა. უნდა ვეცადოთ, რათა კურსებზე მსმენელები ადგილებიდანაც იყოს მოვლინებულნი. ყველა ამ მიზნის განსახორციელებლად და მუშაობის ნაყოფიერი წარმოებისათვის აუცილებელია ვიქონიოთ მჭიდრო კავშირი, კონტაქტი: პროფ. კავშირების საბჭოს კულტ-განყოფილებასთან, რკინისგზის მმართველობის სკოლის გარეშე განათლების სექციასთან, ქართული დივიზიის პოლიტ-განყოფილების განათლების სექციასთან და სხვა მსგავს დაწესებულებათა და ორგანიზაციებთან.

3. **სამკითხველო და ბიბლიოთეკა.** სახლის მუშაობა სამკითხველოს და ბიბლიოთეკის მუშაობაშიაც უნდა გამოიხატოს. სამკითხველოში ჟურნალ-გაზეთების გარდა მოიპოვება ლიტერატურა საკმაოთ მდიდარი პოლიტ-განათლების შინაარსისა, რომელიც დალაგებულია სამკითხველოს დარბაზში წიგნების ათწილადი კლასიფიკაციის სისტემაზე. სამკითხველო მუშაობს განუწყვეტლივ დილის 10 საათიდან სალამოს 8 საათამდე. სარგებლობა სამკითხველოთი შეუძლიან განსაზღრული კატეგორიის ხალხს უფასოთ. შეიძლება ითქვას, რომ სამკითხველო კარგად არის მოწყობილი, ხოლო უსახსრობის გამო არ ხერხდება მისი შევსება ახალი წიგნებით. და არც ყველა საჭირო გაზეთი მოგვეპოება. ჩვენ შევიქენით იძულებული შემოგვეღო ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობისათვის განსაზღრული ფასი და გაგვეხადა ბიბლიოთეკა ყველასათვის ხელმისაწდომი, რამაც მეტად გამოაცოცხლა საბიბლიოთეკო მუშაობა და ზედ-მეტი ხელისმომწერნიც შეგვმატა. ამ ჟამათ სწარმოებს მუშაობა ბიბლიოთეკაში მოზიდული ყოფილ არტისტულ საზოგადოების წიგნთ-საცავში არსებულ წიგნების აღსარიცხავად. უდიდესი საქმე, რომელიც უნდა მოგვარდეს აუცილებლად და რომელიც მოითხოვს დიდ ხარჯს და დროს ეს. არის ბიბლიოთეკის გადატანა ათწილად კლასიფიკაციაზე. ეს საქმე რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყოს და სამაგალითოდ შესრულდეს რადგან ჩვენი მიზანია ის გახდეს სანიმუშო-მაჩვენებელ დაწესებულებად სხვებისათვის. სახლში აგრეთვე უნდა მოეწყოს საციკლო და ეპიზოდიური ლექციები და მოხსენებები.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დავკარგე:** 1) პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული, 2) ლათინური ენის მოწმობა, 3) შრომის ბირჟის წიგნაკი, 4) სიღარიბის მოწმობა, 5) შამის მასწავლებლობის მოწმობა ალებული რაჭის მაზრაში. გთხოვთ ზემო აღნიშნული მოწმობები ჩასთვალოთ გაუქმებულათ. ვალიკო კაციტაძე.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 642 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრონშტეინის ქ. № 4.